ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დემოკრატიული მოძრაობა · DEMOCRATIC MOVEMENT

## ერთიანი საქართველო · UNITED GEORGIA

### მთავარი საბჭო

ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციის მთავარი საბჭო წარმოდგენილია ადამიანებით, რომლებიც ცნობილნი არიან თავის სფეროში, როგორც პროფესიონალები და მაღალი რანგის სპეციალისტები.

აქ თქვენ ნაკლებად იხილავთ პოლიტიკურად ცნობად სახეებს. ჩვენ წარმოგიდგენთ თანამოაზრეთა გუნდს,რომელთაც გააჩნიათ სერიოზული მოტივაცია და უნარი,რეალური გახადონ ჩვენს მიერ დასახული მიზნები.

ნინო ბურჯანაძე



**დავით პატარაია – იურისტი, დოქტორი**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, სწავლობდა ნიურნბერგისა და საარლანდის უნივერსიტეტებში. მუშაობდა რადიო “თავისუფლების” პოლიტიკურ მიმომხილველად.
საადვოკატო ბიურო ”პატარაია და პარტნიორების” დამფუძნებელი.




**თეიმურაზ მურღულია –**
**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,ფინანსისტი**

სხვადასხვა პერიოდში თეიმურაზ მურღულია მუშაობდა საქართველოს ეროვნული ბანკში, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დეპარტამენტში, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების საფინანსო სამსახურებში. იყო საქართველოს პარლამენტის საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტისა და საბიუჯეტო ოფისის უფროსი.



**ვახტანგ ყოლბაია – ეკონომისტი**

ვახტანგ ყოლბაია მუშაობდა გალის რაიონის ადმინისტრაციის უფროსად. იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე. 1992-2004 წლებში ვახტანგ ყოლბაია საქართველოს პარლამენტის წევრი, 1995 წლიდან კი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეა.



**ᲗᲐᲛᲐᲠ ᲪᲘᲜᲪᲐᲑᲐᲫᲔ – ექიმი,მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი**
თამარ ცინცაბაძე ჯანდაცვის ეკონომისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრია. მონაწილეობას იღებდა ჯანდაცვის რეფორმის კონცეფციის შემუშავებასა და იმპლემენტაციაში.
გავლილი აქვს სპეციალიზებული სასწავლო კურსები დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების,ნიდერლანდების,ყაზახეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში.



**ᲨᲐᲚᲕᲐ ᲝᲒᲑᲐᲘᲫᲔ –**
**ინჟინერ-მექანიკოსი,იურისტი,ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი**
1992-1993 წლებში მუშაობდა საქართველოს მწვანეთა პარტიის აღმასრულებელ მდივნად. იყო თბილისის მუნიციპალიტეტის ვიცე-პრემიერი სოციალურ საკითხებში, 1995-1997 წლებში – საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, 2003-2004 წლებში – საგზაო პოლიციის უფროსი.



**ᲖᲐᲖᲐ ᲡᲝᲤᲠᲝᲛᲐᲫᲔ – ექიმი, სამართალმცოდნე, დოქტორი,**
ზაზა სოფრომაძე 1995 წლის მოწვევის პარლამენტის წევრი. იყო სოციალური დაცვის და შრომითი ურთიერთობების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე.
2004-2007 წლებში ზაზა სოფრომაძე სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და ამავე ფონდის გენერალური დირექტორია. 2008 წლიდან იგი სადაზღვევო კომპანია “აი სი ჯგუფში” სახელმწიფო პროგრამის კოორდინატორია.



**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲯᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ – ფიზიკოსი**
1984 წლიდან დავით ჭეიშვილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მთავარი კომიტეტის წევრია. 1991-1992 წლებში სახელმწიფო საბჭოს მთავარი სახელმწიფო მრჩეველია. იყო 1995 წლის მოწვევის პარლამენტის წევრი. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრი.



## დავით ჭეჟია – ბიზნესის ადმინისტრატორი

1997 წელს დავით ჭეჟიამ დაამთავრა მართვის უმაღლესი ევროპული სკოლა ESM - თბილისი. იგი მუშაობდა მსოფლიო ბანკის მუნიციპალური პროგრამათა განხორციელების საკოორდინაციო ცენტრში. 2005-2008 წლებში შპს „თბილისის წყალის" ადმინისტრაციული დირექტორია. დავით ჭეჟიას გავლილი აქვს სასწავალო კურსები ლონდონსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში კემბრიჯის უნივერსიტეტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გაგა გაბრიჩიძე – საერთაშორისო სამართლის დოქტორი,პროფესორი

სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ზაარბრუკენის ზაარლანდის უნივერსიტეტის ევროპის ინსტიტუტში. 2001 წლიდან გაგა გაბრიჩიძე,როგორც მკვლევარი სხვადასხვა დროს მიწვეული იყო ვენის უნივერსიტეტის ევროპის სამართლის ინსტიტუტში, ზაარლანდის უნივერსიტეტის ევროპის ინსტიტუტში, ფრანკფურტის უნივერსიტეტის მერტონის ცენტრში.



## გიორგი გეგელაშვილი – ექიმი

განვლო გზა კლინიკური ორდინატორობიდან კლინიკის დირექტორობამდე. გაიარა სასწავლო კურსები ისრაელის ტექნიონის უნივერსიტეტში, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციაში (დანია),ნიდერლანდებში მაასტრიხტის უნივერსიტეტში, პოლონეთში იაგელონის უნივერსიტეტში,იტალიაში როკფელერის ცენტრში.
გიორგი გეგელაშვილი 2004 წლის მოწვევის პარლამენტის წევრი და ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა. იგი ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პაციენტთა უსაფრთხოების ცენტრის მმართველი კომიტეტის, ევროპის სამედიცინო ხარისხის საზოგადოების, ბიზნესისა და პარლამენტის საერთაშორისო ასოციაციის,ნევროლოგიური საზოგადოებების ევროპის ფედერაციის საბჭოს წევრი და ევროპა-აზიის პაციენტთა უსაფრთხოების ინიციატივის რეგიონული კოორდინატორია.



## ნოდარ ხადური – ეკონომისტი, დოქტორი, პროფესორი

იყო ფინანსთა მინისტრის მოადგილე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (UNDP) კონსულტანტი კანონშემოქმედებით საკითხებში. გავლილი აქვს სასწავლო კურსები ვენის გაერთიანებულ ინსტიტუტში, ეგვიპტისა და შვეიცარიის განვითარების სააგენტოებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ბაკურ მგელიაშვილი – იურისტი**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მადრიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი. თანამშრომლობდა ჟურნალ "Hello Diplomatic"-თან პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხებში. გავლილი აქვს სტაჟირება დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს უმაღლეს მაკონტროლებელ ორგანოებში, არის ამერიკის შეერთებული შტატების სამთავრობო აუდიტორთა ასოციაციის საპატიო წევრი.



**რომან კუსიანი – იურისტი,ინჟინერ-მექანიკოსი**

1991-1993 წლებში რომან კუსიანი საქართველოს მწვანეთა მოძრაობის საჩხერის რაიონულ ორგანიზაციას თავმჯდომარეობდა. იგი საქართველოს სამი მოწვევის პარლამენტის წევრია. პარლამენტში თვითმმართველობის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე, თვითმმართველობის შესახებ კანონის ერთ-ერთი ავტორი.



**ზურაბ ბიგვავა –**

**ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,პროფესორი**

1995-2008 წლებში იყო პარლამენტის თავმჯდომარეების მრჩეველი. საკვლევ-საკონსულტაციო ცენტრი "ფსიქოპროექტის" დამფუძნებელი.



**მანანა სალუქვაძე –**

**ესპანური და ინგლისური ენის სპეციალისტი**

დაამთავრა მოსკოვის მორის ტორეზის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი, სწავლობდა ჰავაის უნივერსიტეტში. 1997 წლიდან იგი მუშაობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის საქართველოს წარმომადგენლობაში პროექტების აღმასრულებელ კოორდინატორად, სადაც ხელმძღვანელობდა პროექტებს სახელმწიფო მართვის სფეროში.

PX4485/1
ეროვნული ბიბლიოთეკა
п105/1573

www.democrats.ge